უფასო

ჩვენი გაზეთი

30 ივნისი
2017 წელი

№5 (23)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

სოფლის მეურნეობის მინისტრი ვარციხეში

აგროლეინი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, იმერეთის გუბერნატორის მოადგილესთან იოსებ ხახალეიშვილთან, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ არჩილ გოგსაძესთან და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორთან მამუკა კვარაცხელიასთან ერთად, სოფელ ვარციხეში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილის გადამამუშავებელი საწარმო, შპს „აგროლეინი“ დაათვალიერა და კომპანიის კუთვნილ 6 ჰექტარზე გაშენებულ მოცვის ბაღში მოსავლის კრეფის პროცესს დაესწრო.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, კომპანია „აგროლეინი“ იმ წარმატებულ საწარმოთა სიაშია, რომლებმაც სახელმწიფოს ხელშეწყობით საერთაშორისო სტანდარტის საწარმოები შექმნეს.

კომპანიაში „აგროლეინი“ ლურჯი მოცვის და ჟოლოს გადამუშავება ხორციელდება. კომპანია წლიურად 12 ტონა გაყინულ ჟოლოს და 56 ტონა გაყინულ მოცვს აწარმოებს. პროდუქცია იყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე. საწარმო, სადაც 30 ადამიანია დასაქმებული 2016 წელს აშენდა. რაც შეეხება კომპანიის კუთვნილ მოცვის ბაღებს, წელს 1 ჰექტარზე 10 ტონა მოსავალს ელოდებიან. სეზონურად კომპანია ბაღებში 100-მდე ადგილობრივს ასაქმებს.

„სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერით აგრარულ დარგში მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები მივიღეთ და კომპანია „აგროლეინი“ ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ბაზრების დივერსიფიკაციისა და ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. ჩვენი სამინისტროს ხელშეწყობით, „აგროლეინის“ პროდუქცია დუბაიში აგროგამოფენაზე „გალფუდი 2017“ იყო წარმოდგენილი. გამოფენა „Gulfood“ საერთაშორისო ვაჭრობისა და კომერციის უდიდეს ცენტრს წარმოადგენს, სადაც სახელმწიფოს ხელშეწყობით შექმნილმა საწარმოებმა ქართული აგროსასურსათო პროდუქცია წელს პირველად წარადგინეს. ასეთი მასშტაბის გამოფენებში მონაწილეობა ქართულ პროდუქციას საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებას უწყობს ხელს. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ „აგროლეინის“ პროდუქციის ექსპორტი სპარსეთის ყურის ქვეყნებში წარმატებით ხორციელდება“, – აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა

ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზა პრემიერმა გახსნა

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის 15.2 კილომეტრიანი მონაკვეთი, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, ზურაბ ალავიძესთან და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორ გივი ჭიჭინაძესთან ერთად გახსნა. აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთი ექსპლუატაციაში სრულად შევიდა.

15 კილომეტრიანი მონაკვეთის გახსნას დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრი მოტომე ტაკისავა, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ვიცე-გუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი და ქუთაისის მერი შოთა მურღულია და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ თუთარაშვილი ესწრებოდნენ.

ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, 15.2 კმ-იან მონაკვეთზე, აშენდა ცემენტ-ბეტონის საფარიანი ოთხზოლიანი ჩქაროსნული გზა, 9 პარალელური ხიდი, ორი სატრანსპორტო კვანძი, ოთხი საფეხმავლო ხიდი, მიწისქვეშა გასასვლელები და რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილები.

აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობა, E60 ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე გაზრდის ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, შეამცირებს გადაზიდვების ხარჯებს და ხელს შეუწყობს სატრანზიტო მიმოსვლის ზრდას.

სამუშაოების ღირებულება 71 მილიონ ლარს და 22 მილიონ ევროს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოები იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება. პროექტზე 360 ადამიანია დასაქმებული.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი კახა მსხვილიძე იმ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გვესაუბრა, რომელთა განხორციელება მუნიციპალიტეტის სოფლებში ყოველდღიურად მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული პროექტები

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბაღდათის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 2 974 200 ლარი, თანადაფინანსებისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 295 700 ლარი. გამოყოფილი თანხით მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდება ხუთი საგზაო და ერთი წყალმომარაგების პროფილის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი:

– სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია 3 კმ-ზე.

– სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია 1,160 კმ-ზე.

– ბაღდათი-საკრაულას ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის საკრაულა წიფის 3,1 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

– სამთავე ს/გზის რეაბილიტაცია განხორციელდება ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარით. სავალი ნაწილის სიგანე საშუალოდ შეადგენს 4,5 მ-ს. გზების გასწვრივ მოეწყობა ნიაღვარმიმღები არხები და სხვა საინჟინრო ნაგებობები.

– სოფ. ფერსათიდან სალხინო ეკლესიასთან მისავლელი გზის 0.5 კმ-იანი მონაკვეთის და სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის 1,5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მოხდება 5 მეტრიანი სიგანის რკ/ბეტონის საფარით.

– სოფ. ფერსათსა და სოფ. წითელხევში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით მოეწყობა სათავე ნაგებობა, წყალშემკრები რეზერვუარები და მაგისტრალური ქსელი.

აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის საწყისი სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 3 257 900 ლარს.

ექვსივე სამუშაოს შესყიდვა განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ვაჭრობის შედეგად სამუშაოების ღირებულება შემცირდა 542 268 ლარით.

ამჟამად სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებულია 5 ორგანიზაციასთან. ჯამური სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 2 715 632 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი ივნისიც ტრადიციულად

გაგრძელება მე-3 გვ.

საქართველოს პრეზიდენტმა თვითმმართველობის არჩევნების სავარაუდო თარიღი დაასახელა

საქართველოს პრეზიდენტმა თვითმმართველობის არჩევნების სავარაუდო თარიღი დაასახელა. შესაბამის აქტს არჩევნების დანიშვნის შესახებ გიორგი მარგველაშვილი არჩევნებამდე 60 დღით ადრე, აგვისტოს ბოლოს გამოსცემს.

აღნიშნული განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 27 ივნისს სასახლეში გააკეთა.

„მომავალი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება ოქტომბრის მესამე კვირის ბოლოს. ამის თაობაზე ჩვენ ვიმუშავეთ და მოვილაპარაკეთ მთავრობასთან, თუმცა აქტი ამ არჩევნების დანიშვნის თობაზე გამოიცემა 60 დღით ადრე, ანუ აგვისტოს ბოლოს.

ეს გადაწყვეტილება განპირობებულია თუნდაც შარშანდელი გაუგებრობებიდან გამომდინარე, რადგან არის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული, გარკვეული საკანონმდებლო, საბიუჯეტო დეტალები.

მთავარია, რომ ეს არის პარტიებისთვის საარჩევნო გარემოს განჭვრეტადობა და დღეს, 4 თვით ადრე, მთავრობასთან ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად, ჩვენ მათ ვაძლევთ ინფორმაციას.

4 თვით ადრე პარტიებმა იციან მომავალი საარჩევნო კალენდარი, რაც გულისხმობს იმას, რომ არჩევნები ოქტომბრის მესამე კვირის ბოლოს დაინიშნება, მაგრამ აქტი, რომლის მიხედვითაც ეს პროცესი, იურიდიულად შევა ძალაში, აგვისტოს ბოლოს გამოიცემა“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

www.president.gov.ge

წინასაარჩევნო სამზადისი

ოქტომბერში გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება დაიწყო ბაღდათი-ხარაგაულის №52 საარჩევნო ოლქმა. მაის-ივნისში ოლქში რამდენიმე პრეზენტაცია-ტრენინგი ჩატარდა. 30 მაისს, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა მოქალაქეებისათვის მოაწყო პროექტის – „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ – პრეზენტაცია, რომელსაც უძღვებოდა ოლქის თავმჯდომარის (არჩილ სიგუნავა) მოადგილე კობა ჯიხვაძე.

„ჩვენ მიზნად ვისახავთ რაც შეიძლება მეტი მოქალაქე დავაინტერესოთ, მივაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, შევუქმნათ მოტივაცია მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ვიყოთ უფრო ახლოს ჩვენს ამომრჩევლებთან“ – განაცხადეს

საარჩევნო ოლქის თანამშრომლებმა და ამ მიზნით მუნიციპალიტეტის სოფლების მაცხოვრებლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებიც გამართეს.

14-15 ივნისს საარჩევნო ოლქში გაიმართა საინფორმაციო-სასწავლო კურსი – „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები 2017“, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციისა და არჩევნებში ჩართული მხარეების მიერ პროფესიული კადრების შერჩევის მიზნით კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირებას. ტრენინგი ორი დღე მიმდინარეობდა, შეიქმნა ორი ჯგუფი და თითოეული შედგებოდა 21 მსმენელისგან.

ორდღიანი სასწავლო კურსის ფარგლებში მონაწილეები გაეცვნენ საუბნო-საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, მათ შორის:

- კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა;
- საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- საარჩევნო ყუთის გახსნა;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა, შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა.

სასწავლო კურსს ცესკო და სწავლების ცენტრი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით 2015 წლიდან ახორციელებს.

ტრენინგის ბოლოს საარჩევნო ოლქის თავმჯდომარემ არჩილ სიგუნავამ თითოეულ მსმენელს სერტიფიკატი გადასცა.

ახალგაზრდა ფერმერები გურიაში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაღდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, მეორე აგროტური მოაწყო, ამჯერად გურიაში და ახალგაზრდა, დამწყები ბაღდათელი ფერმერებისთვის. ოცკაციანი ჯგუფის წევრები საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლების მეგზურობით პირველად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ეწვივნენ და ხილის გადამამუშავებელი ქარხანა „ნენა“ დაათვალიერეს, თვალი ადევნეს კომპოტებისა და ჯემების წარმოების სამუშაო პროცესს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა ფერმერებმა აგრარული უნივერსიტეტის კამპუსი დაათვალიერეს. განსაკუთრებული მოწონება იქაურმა ბიბლიოთეკამ დაიმსახურა. წიგნთსაცავში საუკუნის წინ სოფლის მეურნეობის თემებზე გამოცემულ უნიკალურ ნაშრომებს იხილავთ. მასპინძლებმა კამპუსის მონახულების შემდეგ ბაღდათელი სტუმრები ჩაისა და სუბტროპიკული ნარგავების კვლევით ინსტიტუტში მიიწვიეს და თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს. საინტერესო და ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის საჭირო შეხვედრა გაიმართა ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკურ ცენტრში – „ანასეული“. ლაბორატორიის დათვალიერების შემდეგ, ცენტრის სპეციალისტებმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის რვა ტერიტორიულ ორგანოში აღებული ნიადაგის ანალიზების შედეგები გადასცეს გამგეობისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებს.

ტურის ბოლო „გაჩერება“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი და კოოპერატივი „ნერგები“ იყო. ხუთი მოსახლისგან შექმნილი ეს კოოპერატივი ხეხილისა და დეკორატიული მცენარეების ნერგების გამოყვანით არის დაკავებული, რისი უშუალო მხილველნიც ახალგაზრდა ბაღდათელი ფერმერებიც გახდნენ.

* * *

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა სოფლებში – როხი, ფერსათი და დიმი – დაინტერესებულ პირებს კონსულტაცია გაუწიეს დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ შემდეგი დარგების მიხედვით:

1. მეფუტკრეობა (ფუტკრის დაავადებები და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები);
2. მებოსტნეობა დახურულ გრუნტში, სასათბურე მეურნეობა;
3. მცენარეთა დაცვა მევენახეობაში;

შეხვედრებზე მისული ფერმერები სპეციალისტებს ბევრ საკითხზე ესაუბრნენ და ამომწურავი პასუხებიც მიიღეს.

დავასუფთაოთ საქართველო!

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს – ფაზა III-ის“ პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა ნარჩენების მართვას საქართველოში. პრეზენტაციას უძღვებოდნენ ნარჩენების მართვის ექსპერტი (გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი) ხათუნა ჩიკვილაძე და გარემოს მონიტორინგის ექსპერტი (ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი) ნუგზარ ბუაჩიძე. პროექტის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაზრდის გზით გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირება. შეხვედრებზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ნარჩენების მართვა საქართველოში, საკანონმდებლო მოთხოვნები; ნარჩენების მართვის საერთაშორისო ვალდებულებები და ევროპული გამოცდილება; ნარჩენების მართვის დაგეგმვა; საქართველოში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების გავლენის შეფასება მიმდებარე ტერიტორიების ეკოსისტემების მდგომარეობაზე და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს – ფაზა III-ს“ ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა. იგი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძე და გამგეობის წარმომადგენლები.

რობერტ ნერგაძე: მუნიციპალიტეტში ტრაქტორების დეფიციტი არ იყო



წელს საგაზაფხულო სამუშაოები მარტის მეორე ნახევრიდან დაიწყო და უკვე დასრულებულია. თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი ჩვენს მუნიციპალიტეტში და რამდენი ჰექტარი მიწა დამუშავდა 2017 წელს, ამის შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს – რობერტ ნერგაძეს ვესაუბრეთ:

საგაზაფხულო სამუშაოები ბაღდათის მუნიციპალიტეტში დასრულებულია. მართალია, აგროვადები დაირღვა, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. კერძოდ, უამინდობა. საგაზაფხულო სამუშაოებს ახორციელებდა შ.პ.ს „მექანიზატორი“, რომლის განკარგულებაში იყო 12 ერთეული ტრაქტორი დაკომპლექტებული სახნავითა და გამაფხვიერებელი საშუალებებით.

შ.პ.ს „მექანიზატორის“ მიერ გამოყოფილი ტექნიკით წელს მოხნულია 650 ჰა, თუმცა ბევრმა ბენეფიციარმა კერძო ტექნიკის მეშვეობით დაამუშავა მიწა. თუ რამდენი ფართობი მიწა დაამუშავეს, ეს ჩვენთვის არ არის ცნობილი. ამდენად, სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცილებით მეტი მიწის ფართობია მოხნული.

ჩვენს მუნიციპალიტეტში წელს ტრაქტორების დეფიციტი არ იყო, ყველა მსურველს შეეძლო მიწის მოხვნა, თუმცა, წინა წლებთან შედარებით, ტექნიკაზე მოთხოვნა შემცირდა, რაც, ჩემი აზრით, განპირობებული უნდა იყოს შემდეგი მიზეზებით: ზოგს არ სურდა მიწის დამუშავება, ზოგიერთი მათგანი ქალაქშია გადასული, ამასთანავე, წელს მიწის დამუშავება გარკვეულ თანხებთან იყო დაკავშირებული და მოსახლეობის ნაწილს არ ჰქონდა ხვნისა და თესვის ფული.

იმ შემთხვევაში, თუ არსებული ტექნიკა არ იქნებოდა საკმარისი მიწის დამუშავებისათვის, შ.პ.ს „მექანიზატორი“ მზად იყო დამატებითი ტექნიკა შემოეყვანა მუნიციპალიტეტში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, როდესაც ტექნიკა მწყობრიდან გამოდის, ზესტაფონის სერვისცენტრისთვის შეტყობინების შემდეგ გარკვეული დროა საჭირო მის შესაკეთებლად და, რა თქმა უნდა, ესეც იყო შემაფერხებელი ფაქტორი აგროვადების დაცვისა. უმჯობესი იქნება, თუ მომავალში ჩვენს მუნიციპალიტეტს საკუთარი სერვისცენტრი ექნება. ამით მეტი დრო დაგვეზოგება და საგაზაფხულო სამუშაოებიც დროულად შესრულდება.

მარიამ ოქროჭელიძე

დასაწყისი 1 გვ.

გამოირჩეოდა უხვი ნალექით, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

სამუშაოთა მოცულობის და სირთულის გათვალისწინებით სახელშეკრულებო ვადები სხვადასხვა ობიექტებზე განისაზღვრა 100-დან 120 დღემდე და შესაბამისად სამუშაოთა დასრულება დაგეგმილია შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელ ს/გზაზე 17 სექტემბერს. სამუშაოთა მწარმოებელი შ.პ.ს. „საქმილსადენმშენი“;

სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელ ს/გზაზე 27 აგვისტოს. სამუშაოთა მწარმოებელი შ.პ.ს. „ბორანი“;

ბაღდათი-საკრაულას ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის საკრაულა-წიფის 3,1 კმ-იან მონაკვეთზე 14 ოქტომბერს. სამუშაოთა მწარმოებელი შ.პ.ს. „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანია“;

სოფ. ფერსათში და სოფ. დიმში რკ/ბეტონით გზების მონაკვეთების მოწყობას ახორციელებს შ.პ.ს. „ჯ და ჯ“, სამუშაოთა დასრულება შესაბამისად განხორციელდება არაუგვიანეს 31 აგვისტოსა და 25 სექტემბრისა;

ფერსათისა და წითელხევის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისათვის სამუშაოთა მწარმოებელია შ.პ.ს. „ნიუმშენი“ და ობიექტის დასრულება იგეგმება 22 სექტემბრამე.

სატენდერო პირობებში გათვალისწინებული იყო მსგავსი ტიპის სამუშაოთა წარმოების გამოცდილების მოთხოვნა, შესაბამისად, კონტრაქტორთა გამოცდილება იძლევა დიდ იმედს იმისა, რომ დაცული იქნება, როგორც სახელშეკრულებო ვადები, ასევე უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ხარისხი. ხელშეკრულებების მიხედვით სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტებული პირის

მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ფასზე, ხარისხზე და მოცულობაზე. ამასთან, ყველა ობიექტზე მიმაგრებულია ტექნიკური ზედამხედველი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდება სამუშაოთა წარმოებას. პროექტების მიმდინარეობისას ხდება სხვადასხვა სახის აუცილებელი კორექტირებები, ასე მაგალითად, სოფ. პირველ და მეორე ობჩაში გზის სავალ ნაწილსა და ღვარსადენებს შორის არ იყო გათვალისწინებული გვერდულების მოწყობა, მოსახლეობის მოთხოვნით საკითხი დამატებით იქნა შესწავლილი და გადაწყდა, რომ გზის არსებული საფუძვლის ნაწილობრივი შენარჩუნების ხარჯზე წარმოშვებული ფინანსური რეზერვით მოწყობილიყო 0,5-1მ. სიგანის გვერდული, რომელიც შეივსება ქვიშა-ხრეშით. სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელ ს/გზაზე პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ცალფა არმირების რკინა-ბეტონის ანაკრები წყალგამტარი ღარის და სამკუთხა კიუვეტის მოწყობა (მ-300 მარკის ბეტონით). სამუშაოთა შემსრულებელი შ.პ.ს. „საქმილსადენმშენი“ გვთავაზობს ღირებულების შეუცვლელად ასეთი სახის ანაკრები წყალგამტარი არხები შეიცვალოს მონოლითური ეგრეთ წოდებული „ფიბრო“ სახის ბეტონით. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია მსგავსი ტექნოლოგიით ღვარსადენების მოწყობის გამოცდილება. ამჟამად მიმდინარეობს ცვლილების მიზანშეწონილობის შესწავლა. სათანადო დასაბუთებულობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი განიხილავს ამ ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიით სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობას.

მიმდინარე პროექტების განხორციელების შემდეგ მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებულ ადგილობრივ და საუბნო გზებს შეემატება კაპიტალურად შეკეთებული 9 კმ-ზე მეტი სიგრძის გზა.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, უახლოეს პერიოდში საქართველოს მთავრობას განსახილველად წარედგინება ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე 6.0 კმ--იანი გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობის და ქ. ბაღდათში ე. თოდაძის ქუჩის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის პროექტები შესაბამისი დაფინანსების მისაღებად. პროექტების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1 975 003 ლარს. დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სამუშაოთა ნაწილის განხორციელება შესაძლებელია მიმდინარე წელს.

კომუნალური სამსახური თქვენს სამსახურში

ბაღდათის მუნიციპალიტეტში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ა.(ა).ი.პ. კომუნალურ გაერთიანებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. შეიცვალა სამსახურის უფროსიც. „ჩემი გაზეთის“ ჟურნალისტები ამ ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ სასაუბროდ კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელს ამბერკი რობაქიძეს ეწვივნენ.

კომუნალური გაერთიანება ბაღდათის მუნიციპალიტეტში ძირითადად სამი მიმართულებით მუშაობს: ქალაქის კეთილმოწყობა, გარე განათება და დასუფთავება. როგორც კომუნალური სამსახურის უფროსმა ამბერკი რობაქიძემ განაცხადა, ისინი ყველაფერს აკეთებენ ბაღდათის დასუფთავებისა და მოწესრიგებისათვის. დილის 7 საათიდან საღამოს 8-მდე კომუნალური სამსახურის თანამშრომლები თავდაუზოგავად შრომობენ, თუმცა, თუ არ იქნა მოქალაქეების გვერდით დგომა და მათი შრომის დაფასება, ისე არაფერი გამოვა. საგანმანათლებლო თუ სახელმწიფო დაწესებულებები და კერძო მესაკუთრეები აქტიურად უნდა ჩაერთონ ქალაქის კეთილმოწყობაში.

ბატონი ამბერკის თქმით, დიდ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის მიერ უპატრონოდ გამოშვებული პირუტყვი, რომელიც ქალაქის ცენტრს აბინძურებს. ამ მხრივ, რწმუნებულების ჩართულობაც აუცილებელია, რათა გააფრთხილონ მოსახლეობა, რომ მოუარონ პირუტყვს. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე და სამომავლოდ გარკვეული ცვლილებებიც იგეგმება. უნდა მოხდეს სპეციალური ადგილის შერჩევა პირუტყვის განსათავსებლად, ხოლო მათ მეპატრონეებს საჯარიმო სანქციები დაეკისრებათ. დილის 9 საათზე ქალაქი უკვე დასუფთავებულია, მაგრამ ვერ ხერხდება მისი დაცვა. მითუმეტეს, ტურისტული სეზონი იწყება და ჩვენ, ჩვენის მხრივ, ყველაფერი მოწესრიგებული უნდა გვქონდეს. ჩვენი მოწოდება და თხოვნაა, მოქალაქეებმა დაიცვან სისუფთავე და არ დააბინძურონ გარემო!

ყურადღება უნდა მიექცეს სოფლებში სისუფთავის დაცვას. ამ კუთხით კომუნალური სამსახური აქტიურად მუშაობს. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში განთავსებულია 480-მდე ნაგვის ურნა, რომელთა გაცლაც კვირაში ორჯერ ხდება, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლები დამატებით ემსახურებიან მოსახლეობას.

სისტემატიურად ხდება ცენტრალური გზების: ვარციხე-როხის, (ბაღდათი-ვანი-დაფნარი) ბაღდათი-როხის, (ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას) ბაღდათი-დიმი-ვარციხის გზის დასუფთავება და სანიაღვრე არხების გაწმენდა. ასევე ფილფანით იჭრება ბალახი ცენტრალურ ადგილებსა და ქალაქ ბაღდათის ქუჩებში.

* * *

კომუნალური სამსახურის საკუთრებაში არსებული ტექნიკის გამოყენებით ხდება მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების მოწყობა. მათ შორის, ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებიდან მნიშვნელოვანია ბაღდათი-ხანის დამაკავშირებელი გზის მოწესრიგება და მდინარე ლაშურადან სოფელ ხანამდე მეწყერის შედეგად ჩამონგრეული მისასვლელი გზის გაწმენდა. სოფლებში – პირველ და მეორე ობჩაში, ფერსათში, წითელხევსა და როკითდიდველაში შიდასაუბნო გზების შეკეთება, ფაქტობრივად დასრულდა. მოსწორდა დიდველას დაწყებითი სკოლის ეზო. დიდველა-როკითის ბაღდათის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის – ზაზა ზივზივაძის ინფორმაციით, ინვესტორი სკოლის ეზოში მინი სპორტული კომპლექსის (საფეხბურთო, საკალათბურთო მოედნები, ჩოგბურთის კორტი) მოწყობას დაპირდა სოფლის მაცხოვრებელს, საამისოდ კი, ინვესტორის ერთადერთი მოთხოვნა ეზოს გასუფთავება – მოწესრიგება იყო.

კომუნალური გაერთინების სამსახურის ტექნიკა მალე სამუშაოებს სოფლებში – როხსა და ვარციხეში დაიწყებს.

ანა ძორიძე

შეტყობინება!

გაცნობებთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2017 წლის 20 აპრილის მდგომარეობით, გეკრძალებათ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალაქ ბაღდათის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების უმეთვალყურეოდ გამოშვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეპატრონეთა მიმართ გატარებული იქნება ამავე კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები, კერძოდ, 20-დან 50 ლარამდე ჯარიმა და სხვა ხარჯები, რაც დაკავშირებულია უპატრონო პირუტყვის მოვლა-პატრონობასთან.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური

C ჰეპატიტის უფასო გამოკვლევები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამას, რომლის მიზანია საქართველოში C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება, დაავადების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ეტაპობრივი უზრუნველყოფის გზით.

23 მაისს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მოძრავმა ლაბორატორიამ, C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩაატარა ბენეფიციართა ტესტირება C ჰეპატიტზე. აღნიშნული კვლევები უფასოდ გრძელდება ა.(ა).ი.პ. ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში და მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის ამბულატორიაში. ექიმები აღჭურვილნი არიან ყველა საჭირო სამედიცინო ნივთით და მათ სოფლებში ადგილზევე შეუძლიათ კვლევების ჩატარება. რაც შეეხება ანალიზის შედეგებს, ბენეფიციარები მას მიიღებენ რამდენიმე წუთში ადგილზევე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოქალაქეებმა, სამკურნალო პროგრამაში ჩასართავად, აუცილებლად უნდა ჩაიტარონ დამატებითი კვლევები:

1. ექიმთან ვიზიტი;
2. სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
3. HCV რნმ დადებითი შედეგის მქონე პაციენტებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ სოციალური მომსახურების სააგენტოში.
4. HCV რნმ დადებითი შედეგის მქონე პაციენტებს უტარდებათ:

- სისხლის საერთო ანალიზი;
- ღვიძლის ფუნქციური სინჯები და ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრა FIB-4 ტესტის დათვლით;
- იმ შემთხვევაში, თუ FIB-4 ქულა არის 1,45 – 3,25 მაჩვენებლებს შორის, პაციენტებს დამატებით უტარდებათ ღვიძლის ელასტოგრაფია;
- ღვიძლის ფიბროზის F3, F3-F4 და F4 ხარისხის მქონე პაციენტებს უტარდებათ შემდეგი გამოკვლევები:
- HCV გენეტიკური ტიპის განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- პაციენტებს HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებით უტარდებათ დამატებითი კვლევები.

მკურნალობაში ჩართვამდე, პროგრამით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობისათვის, ბენეფიციარებმა უნდა მიმართონ შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებს ქუთაისში:

- შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი“ (ქ. ქუთაისი, ფოთის ქუჩა №40)
- შპს „ლივერმედი“ (ქ.ქუთაისი, თამარ მეფისქუჩა №26)
- ა.(ა).ი.პ. „იმერეთის განვითარების ცენტრი“ (ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №27/გრიშაშვილის მე-4 შესახვევი №9).

მკურნალობის კომპონენტით სარგებლობის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს და იგი გულისხმობს C ჰეპატიტით დაავადებული პირების შემდეგი მედიკამენტებით უზრუნველყოფას: სოფოსბუვირი, პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი, ჰარვონი.

ინფორმაცია მოგვაწოდა ა.(ა).ი.პ. ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა. ისინი ადგილობრივებს მოუწოდებენ მივიდნენ თავიანთი სოფლების ამბულატორიასა თუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში და ჩაიტარონ გამოკვლევები.

ანა ძორიძე

ერთი სამსახურის ერთი დღე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ჩემი გაზეთის რუბრიკა – ერთი სამსახურის ერთი დღე ა.(ა).ი.პ. ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შესახებ მოგითხრობთ. მას დიდი ისტორია აქვს. 1995 წელს სანეპიდსადგური დაიყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრად და სანიტარულ ინსპექციად. ცენტრი, სხვადასხვა დროს მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად, დღევანდელი სახით, 2007 წლიდან ჩამოყალიბდა. 2008 წლის ივლისიდან დღემდე ცენტრის ხელმძღვანელი გახლავთ ექიმი-ეპიდემიოლოგი – ნატო მაჩიტაძე. ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობაზე სწორედ მას გავესაუბრეთ:

ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მუშაობს შემდეგ ძირითად პროგრამებზე: 1) იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა 2) ინფექციურ დაავადებათა ზედამხედველობის პროგრამა 3) სანიტარულ ღონისძიებათა პროგრამა 4) პარაზიტულ დაავადებათა პირველადი ეპიდკვლევა და მალარიის გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ხელმძღვანელი ნატო მაჩიტაძე გახლავთ. აღნიშნული პროგრამის მიზანია მოსახლეობაში მაღალი იმუნური სტატუსის მიღწევა და შენარჩუნება, რაც გულისხმობს აცრებით მოცვის სათანადო მაჩვენებლით უზრუნველყოფას მართვადი ინფექციების მიმართ (ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, ყივანახველა, დიფტერია, ტეტანუსი ...). ამ მიზნის მისაღწევად ბაღდათის მუნიციპალიტეტში მუშაობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული კარგად გამართული „ცივი ჯაჭვის“ სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილია „ჯეო ჰოსპიტალსი“ და ყველა სოფლის ამბულატორია. იმუნიზაციის შემოტანილი მასალები, რომელთაც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აწვდის ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, სათანადო დოკუმენტებით ეძლევა „ჯეო ჰოსპიტალსსა“ და სოფლის ამბულატორიებს. ვაქცინები „ცივი ჯაჭვით“ შემოდის და სოფლის ექიმსაც და „ჯეო ჰოსპიტალსის“ პერსონალსაც „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის დაცვით მიაქვს. მათ აქვთ ცივი ჯაჭვის მაცივრები, გადასატანი ცივი ყუთები, რათა ტემპერატურის გამორთვის პირობებში დაცული იყოს ვაქცინა.

ინფექციურ დაავადებათა ზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის ხელმძღვანელი ნატო მაჩიტაძე არის. ინფექციური დაავადებების შემთხვევაში ზოგი სასწრაფო შეტყობინებას ექვემდებარება, ზოგი – ყოველთვიურს. სასწრაფო შეტყობინებას ექვემდებარება ის დაავადებები, რომლებიც ეპიდემიოლოგიური სამსახურის მხრიდან სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ექიმმა 24 საათში უნდა აცნობოს ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, თანამშრომლები გადიან ინფექციის კერაში და იმისათვის, რომ ინფექცია არ გავრცელდეს, შესაბამის ღონისძიებებს ატარებენ. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია დამაკმაყოფილებელია.

ამ პროგრამაში შედის ანტირაბიული სამსახური, რომელიც გულისხმობს ცოფის საწინააღმდეგო აცრების გაკეთებას სხვადასხვა ცხოველით დაკბენილებში. ანტირაბიული კაბინეტი ფუნქციონირებს „ჯეო ჰოსპიტალსის“ ბაზაზე, რომელსაც ასაცრელ მასალას აწვდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

„ჯეო ჰოსპიტალსი“ მუშაობს ანტინატალურ სახელმწიფო პროგრამაზე, რომელიც გულისხმობს ორსულების გამოკვლევას B და C ჰეპატიტზე, სიფილისზე, შიდსზე. ამ კვლევას, სახელმწიფო პროგრამით, ყველა ორსული გადის.

გარდა ამისა, „ჯეო ჰოსპიტალსი“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში B და C ჰეპატიტზე სტაციონალურ პაციენტებსაც იკვლევს. C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც თებერვალში დაიწყო და დღესაც გრძელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ყოველწლიურად ხდება სამედიცინო პერსონალის ცოდნის დონის ამაღლება. მაგ; იანვარში, ანტიბიოტიკების შესახებ ინფორმირებულობის მსოფლიო კვირეულის ფარგლებში, ბაღდათის სამედიცინო პერსონალისთვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში გაიმართა ანტიმიკრობული სახელმძღვანელოს პრეზენტაცია. თებერვალში ჩატარდა სემინარი თემაზე „გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი საქართველოში“. აგრეთვე, მუდმივად ხდება სამედიცინო პერსონალის ცოდნის დონის ამაღლება იმუნიზაციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს არაინფექციურ დაავადებათა სტატისტიკურ ანგარიშგებას. ყოველთვიურად და წლის ბოლოს სტატისტიკური ანგარიშები ამბულატორიის ექიმებისა და „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ თავს იყრის აქ და შემდეგ გადაეცემა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს.

სანიტარულ ღონისძიებათა პროგრამის კოორდინატორია სანიტარული ექიმი – თენგიზ გაბუნია. მას ძირითადად ევალება სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასმელ წყალს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილების ("ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ") თანახმად, რომელიც 1 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში, სილამაზის სალონებს ევალება დარეგისტრირდეს როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტი. ამის შესახებ ყველა სალონის ხელმძღვანელი გაფრთხილებულია და ჩაბარებული აქვს შესაბამისი ბრძანება. ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა გამგეობას წარუდგინა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული მონიტორინგის კითხვარი და მისგან იურიდიულ გადაწყვეტილებას ელოდება.

პარაზიტულ დაავადებათა პირველადი ეპიდკვლევისა და მალარიის გადამტანი ფაუნის გავრცელების პროგრამის ხელმძღვანელია ექიმი-პარაზიტოლოგი – მედეა მესხი. ჰელმინთოზებზე სკრინინგული კვლევები ტარდება სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლის I-III კლასებში. გარდა ამისა, გამოსაკვლევად ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს ცენტრს.

მალარიისა და გადამტანი ფაუნის გავრცელების საწინააღმდეგოდ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა ჩაატარა წყალსატევების პასპორტიზაცია ვარციხის, დიმის, დიდველა-როკითისა და რაიონული ცენტრის ტერიტორიაზე. სულ 150 წყალსატევი აღმოაჩინეს. მალარიის გადამტანი კოღოს ნაჩეკების წინააღმდეგ გამოიყენება თევზი გამბუზია, რომელიც წყალსატევებში არის გადაყვანილი და ძირითადად ამ ბუნებრივი საშუალებით ხდება მალარიის პროფილაქტიკა ჩვენს მუნიციპალიტეტში.

ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობას დადებითად აფასებენ და ამის დასტურად მას მრავალი სიგელი აქვს მიღებული. აქ 13 ადამიანი მუშაობს. ცენტრს აქვს გარკვეული პრობლემები, რომელიც ძირითადად უკავშირდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. იგი განთავსებულია არასტანდარტულ შენობაში, რომელიც საჭიროებს რემონტს. დაბალია თანამშრომელთა ხელფასები – მინიმალური დარიცხული ხელფასი არის 100 ლარი. ცენტრის ხელმძღვანელი იმედოვნებს, პრობლემები უახლოეს მომავალში გადაიჭრება, რათა საზოგადოებრივმა ჯანდაცვამ წარმატებით გააგრძელოს საქმიანობა ბაღდათში.

მარიამ ოქროჭელიძე

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲡᲮᲘᲓᲘ ᲓᲐ „ᲙᲐᲙᲐᲡ ᲮᲘᲓᲘ“

კაკასხიდი მცირეკომლიანი სოფელია მდინარე ხანისწყლის ხეობაში. ერთ დროს მრავალკომლიანი კაკასხიდი თავისი ისტორიის რამდენიმე ასწლეულს ითვლის. მდებარეობს მდინარეების ხანისწყლისა და ქერშოულას შესართავის სიახლოვეს იქ, სადაც ზეკარის ხეობიდან გამომავალი მდ. ქერშოულა ხანისწყალს უერთდება და, სადაც არა ნაკლები ისტორიის მქონე ცნობილი „კაკას ხიდია“, რომლისგანაც სავარაუდოდ უნდა მომდინარეობდეს სოფელ კაკასხიდის სახელწოდება. ეს სოფელი და ხიდი საკმაოდ ხშირად მოიხსენიება მე-16-ე, მე-17-ე და მე18-საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში. დღეს არსებული „კაკას ხიდი“ რკინისაა და რუსეთის სამეფო კარმა საფრანგეთიდან ჩამოიტანა 1904 წელს, როცა დამთავრდა ზეკარის ხეობაში აბასთუმნისაკენ მიმავალი სადილიჟნო გზის მშენებლობა. არსებობს იმის უტყუარი ცნობები, რომ ხიდი ცნობილი ფრანგი ინჟინრის ეიფელის პროექტით არის დამზადებული. ბუნებრივია, აქ ხიდი მანამდეც არსებობდა და ამ ხიდთან გადიოდა იმერეთისა და ახალციხის საფაშოს საზღვარი. „კაკას ხიდთან“ არის დაკავშირებული იდიომის – „კაკასხიდი გაიარა“ წარმოშობა, რაც ნიშნავდა „უკვალოდ დაკარგვას“, „უკან არ დაბრუნებას“. 1579 წლიდან, როცა ახალციხის საფაშო დაარსდა, ოსმალეთი უშუალოდ გაუმეზობლდა იმერეთის სამეფოს. იმერეთში მოტაცებული და ნაყიდი ტყვეების დიდი ნაწილი თურქებს ზეკარის ხეობით გადაჰყავდათ ახალციხეში. თუ მდევარი კაკასხიდამდე ვერ მოახერხებდა ტყვეების დახსნას, ამ ხიდის გავლის შემდეგ მათი გათავისუფლება უკვე უიმედო საქმე იყო და მდევარსაც დატყვევების საფრთხე ელოდა, რადგან იმ დროს ზეკარის ხეობას ოსმალები უწევდნენ კონტროლს. ასე რომ, ამ სამწუხარო გარემოებით აიხსნება იდიომის შინაარსი. ტოპონიმ „კაკასხიდის“ მსაზღვრელი სიტყვა „კაკა“ კაცის საკუთარი სახელია და ხურიტული წარმოშობისაა, კაცის პიროვნული სახელის „კაკი“-ს ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს. „კაკა“-სგან არის ნაწარმოები ქართული გვარები – კაკაურიძე, კაკავა და კაკაშვილი.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲝᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐ

ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲘᲡ ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ

ბაღდათის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ინტელექტუალურ-შემეცნებითი ხასიათის თამაში – ეტალონი, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი ტური 19 მაისს გაიმართა მუნიციპალიტეტის ცხრამეტ საჯარო სკოლაში. ხოლო მეორე, დასკვნითი ტური, გაიმართა ქ. ბაღდათის №2 საჯარო სკოლაში და 15 სკოლის 69 მოსწავლე მონაწილეობდა. თამაშის ბოლოს გამოვლინდა სამეული – თამარ კობახიძე (საკრაულას საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე), გიორგი ბაჯაძე (როხის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე) და შორენა ბურჯანაძე (გიორგი გეწაძის სახელობის პირველი ობჩის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე). 2016-2017 სასწავლო წლის ბაღდათის ეტალონი მოსწავლე გახდა თამარ კობახიძე. მას ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ფულადი ჯილდო გადასცა. ეტალონის წარმატებით ჩატარებაში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან ერთად მონაწილეობდა ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრი. თამაშს ესწრებოდა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი და ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძე.

24 ივნისს თამარ კობახიძემ ბათუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეტალონის ტიტულის მოსაპოვებლად გამართულ ფინალში. პირველი ადგილი დაიკავა და „საქართველოს ეტალონი მოსწავლე“ გახდა „ცაგერის ეტალონი მოსწავლე“ ვახტანგ ჩაჩხიანი (ლაილაშის სკოლა, 90 ქულა).

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სალხინოს ეკლესია, რომელიც სოფელ I ფერსათის სამხრეთით და ქალაქ ბაღდათის დასავლეთით მაღლობზე, სამოლოქიის მთის ძირას მდებარეობს (აქვეა სასაფლაოც), X-XI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული (ბაზილიკა), თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ იგი უფრო ადრინდელია და განეკუთვნება გრიგოლ ხანძთელის მიერ, ტაო-კლარჯეთიდან დაწყებულ სამონასტრო მშენებლობათა წყებას. სამწუხაროდ, ძლიერ დაზიანებულია. ეკლესიის სახელწოდება სალხინო, სულის მოსალხენ, სალოცავ ადგილად არის გააზრებული (შეადარეთ გუდამაყრის ხეობის სოფლის სახელი სალაღო).

სალხინოს ეკლესიას უკავშირდება ერთი ასეთი ისტორიული ფაქტი: იმერეთის უკანასკნელ მეფეს – სოლომონ II-ს, 1810 წლის 12 მარტს, კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის – ტორმასოვის დავალებით, სალხინოს ტაძარში შეხვდნენ იმერეთში მყოფი რუსთა ჯარების სარდალი სიმონოვიჩი და ტორმასოვის პირადი წარმომადგენელი მოგილევსკი. მათ იმერელი თავადების თანდასწრებით ფიცით აღუთქვეს სოლომონ II-ს, რომ, თუ იგი პირადად გამოცხადდებოდა თბილისში ტორმასოვთან, მას შეუნარჩუნებდნენ იმერეთში მეფობას და შეუსრულებდნენ ყველა იმ მოთხოვნას, რასაც მეფე უყენებდა რუსებს. სოლომონ II ენდო ამ ფიცს და 1810 წლის 15 მარტს 500 ცხენოსანი მხლებლით გაემართა თბილისს. რუსებმა გატეხეს ფიცი, რადგან მათი ნამდვილი მიზანი მეფის დატყვევება და იმერეთის სამეფოს გაუქმება იყო. სოლომონ II-ს გზაში თანდათანობით ჩამოაცილეს ამალის 400 მხედარი და ქართლის სოფელ ვარიანში 100 მხლებლით ჩასულს დახვდა ტორმასოვი. იგი დაატყვევეს და, როგორც საპატიო ტყვეს, თბილისში თავად სუმბათაშვილის სახლში შინა პატიმრობაში ამყოფებდნენ.

რუსეთის იმპერატორისაგან ტორმასოვს დავალებული ჰქონდა, რომ სოლომონ II და მისი ოჯახი რუსეთში გადაესახლებინათ, მაგრამ 1810 წლის 10 მაისს მან ქართველ თავადაზნაურთა დახმარებით გაქცევა მოახერხა და 23 თანმხლები პირით, თრიალეთის გზით, ახალციხეში გადავიდა. სოლომონ II-მ იმერელი თავადაზნაურების მცირე ნაწილთან ერთად რამდენიმე თვე კვლავ გააგრძელა ბრძოლა იმერეთში უკვე ფეხმოკიდებული რუსების წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა და ოსმალეთში გადავიდა... 1815 წელს კი, იმერეთის უკანასკნელი მეფე ტრაპიზონში გარდაიცვალა. 1990 წელს სოლომონ მე-2 -ის ნეშთი საქართველოში ჩამოასვენეს და გელათის მონასტრის მეფეთა საძვალეში დაკრძალეს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲝᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ის შეთანხმებით თვითმმართველობასთან არსებული სათათბირო ორგანოს – ახალგაზრდული საბჭოს არჩევნები ჩატარდა. საბჭოს შექმნის ძირითადი მიზანია, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის განხორციელებაში ახალგაზრდების აზრის გათვალისწინების ხელშეწყობა და მათი აქტიურად ჩართვა ახალგაზრდული პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში. ამ მიზნის მისაღწევად ახალგაზრდული საბჭო მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში, ბიუჯეტის პროექტის მომზადებაში, განხილვაში, მონიტორინგსა და ანგარიშგებაში.

ახალგაზრდული საბჭოს წევრი შიძლება გახდეს 18-29 წლის საქართველოს მოქალაქე, რეგისტრირებული ბაღდათის მუნიციპალიტეტში. ის არ უნდა მუშაობდეს საჯარო სამსახურში. ახალგაზრდულ საბჭოში თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს ეყოლება ერთი წარმომადგენელი. წევრობის კანდიდატებს ასახელებს და ირჩევს ადმინისტრაციული ერთეულის ახალგაზრდობა. არჩევნებში მონაწილეობის მიღება (ხმის მიცემის უფლება) შეუძლია 14-29 წლის ყველა ახალგაზრდას.

პროექტის იდეის ავტორია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. მას საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision საქართველოს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

დასავლეთ საქართველოში ბაღდათის მუნიციპალიტეტი არის პირველი, სადაც განხორციელდა აღნიშნული პროექტი.

15 ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ბაღდათი – თინათინ რობაქიძე; დიმი – მარიამ თხელიძე; ფერსათი – ელდარ სახამბერიძე; წითელხევი – რატი ჯანელიძე; როხი – გივი ორბელაძე; ვარციხე – გიორგი ლილუაშვილი; დიდველა – თამილა სიორდია; როკითი – გიორგი ჯოხაძე; ნერგეეთი – გიორგი თოლორდავა; ხანი-შუქრი გიორგიძე; ზეგანი – გიგა გიგაშვილი; საკრაულა – ხატია კვერეხაძე; ზედა დიმი – ტარიელ ებანოიძე; I ობჩა – გიორგი კარკაძე; II ობჩა – ანზორ ზიბზიბაძე

შეხვედრას უძღვებოდნენ ქეთი კიკნაველიძე და დავით ზივზივაძე.

პროექტს ბაღდათის რაიონში ახორციელებენ: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; ბაღდათის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და World Vision საქართველო.

ეთერ დევაძის და ავთანდილ ნაკაშიძის აღიარება

ტრადიციული ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2017“ 27 მაისიდან – 14 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა და მასში იმერეთის 12 მუნიციპალიტეტის თეატრთან ერთად სოხუმისა და საინგილოს დასები მონაწილეობდნენ. დახურვის ცერემონიალი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

გამოვლინდნენ ფესტივალის გამარჯვებულები. ჯილდოები 14 ნომინაციაში გაიცა. გამარჯვებულები ოთხკაციანმა ჟიურიმ გამოავლინა. ფესტივალზე ასევე მუშაობდა ახალგაზრდული ჟიური.

ბაღდათის სახალხო თეატრმა, რომელმაც ფესტივალზე ალექსანდრე ჩხაიძის „შთამომავლობა“ (რეჟისორი მელიტონ ჯაფარიძე) წარმოადგინა, ორ ნომინაციაში გაიმარჯვა – იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის-გუბერნიის მიერ დაწესებული საქართველოს დამსახურებული არტისტის, ქართული თეატრის ვარსკვლავის ევა ხუტუნაშვილის სახელობის პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებლისთვის გადაეცა ქალბატონ ეთერ დევაძეს (ფატი გურიელის როლი), ხოლო მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლად ავთანდილ ნაკაშიძე (მერაბ დარიალოვის როლი) დაასახელეს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი აღიარება ქალბატონი ეთერისთვის პირველი არ არის, მას მრავალჯერ დაუპყრია მაყურებელთა გულები, სხვადასხვა ფესტივალზე კი საუკეთესო შემსრულებლად უკვე მერვედ დაასახელეს.

ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად ჟიურიმ საჩხერის თეატრის დადგმა „შერეკილები“ მიიჩნია.

გიორგი ებანოიძის ნიჭის კონცერტი

ა.(ა).ი.პ. ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის ბაღდათის სამუსიკო სკოლაში გაიმართა პედაგოგ ნათელა ანდრიაძის მე-6 კლასის მოსწავლის გიორგი ებანოიძის სოლო კონცერტი. მან ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებთან ერთად შეასრულა თავისივე დაწერილი რამდენიმე კომპოზიცია. გიორგი ებანოიძის სცენაზე გამოსვლამდე ნათელა ანდრიაძის სხვა მოსწავლეებმაც შეასრულეს მუსიკალური ნომრები. ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ გიორგი მომავალში სწავლას ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში აპირებს, საფორტეპიანო განხრით პედაგოგ ციცინო თოდუასთან. გიორგის შესახებ „ჩემი გაზეთის“ გუნდი ამჟამინდელ პედაგოგს – ქალბატონ ნათელა ანდრიაძეს ესაუბრა:

„გიორგი ძალიან პატარა იყო დედამ რომ მოიყვანა სამუსიკო სკოლაში. მას სიმღერა „თბილისო“ ჰქონდა აწყობილი. როგორც გავიგე, ის ამ სიმღერის შესრულებაზე ოცნებობდა. გიორგი თავიდანვე მიზანსწრაფული და შრომისმოყვარე იყო. რასაც დავავალებდი, ყველაფერს ასრულებდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამისთვის რამდენი დრო დასჭირდებოდა. გიორგის ყოველთვის გაკვეთილისთვის განსაზღვრულზე მეტ დროს ვუთმობდი. მაგალითად, რომ შევხედე, ის ასეთი მონდომებული იყო, მისთვის სულ მქონდა მეორე 45 წუთი გამოყოფილი. გიორგის ივლისში აქვს მისაღები გამოცდები. რადგან ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში სულ სხვა პროგრამაა, ქალბატონი ციცინო, კვირაში ერთხელ, კონსულტაციებს გვიწევდა საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებით.

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში გიორგიმ 5 წელი უნდა ისწავლოს. მართალია, ის სწავლას საფორტეპიანო მიმართულებით აგრძელებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ის საკომპოზიციო განხრით უნდა წავიდეს, ვინაიდან მას ამის ნიჭი აქვს. იგი ჯერ მხოლოდ 12 წლისაა და უკვე წერს ნაწარმოებებს.

გიორგის შესახებ კარგის მეტი არაფერი შემიძლია ვთქვა. როდესაც მის წარმატებაზე ვსაუბრობთ, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ამ საქმეში მისი მშობლების როლი, დაინტერესება და გვერდით დგომა“.

„ჩემი გაზეთის“ გუნდი უერთდება ქალბატონ ნათელას და წარმატებებსა და წინსვლას უსურვებს გიორგის.

მარიამ ოქროჭელიძე

კოტე ფოცხვერაშვილის ოთახ-მუზეუმი

სოფელ წითელხევის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის მუსიკალურ სკოლაში სკოლის აღსაზრდელთა საანგარიშო კონცერტი გაიმართა, თუმცა მანამდე ერთი კარგი საქმეც გაკეთდა – გაიხსნა კოტე ფოცხვერაშვილის ოთახ-მუზეუმი. სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი ჰიმნის ავტორი და წითელხევის მკვიდრი, რომლის სახელსაც ატარებს მუსიკალური სკოლა, გაცილებით მეტს იმსახურებს და ოთახ-მუზეუმის გახსნა, როგორც ამ იდეის სულისჩამდგმელებმა აღნიშნეს, პირველი ნაბიჯია მისი სახელის უკვდავსაყოფად. ოთახ-მუზეუმის გახსნის ცერომიანასა და კონცერტს ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძე, გამგეობის კულტურის სამსახურისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები.

მოსკოვის „მაიაკოვსკი“ ბაღდათში

ბაღდათის ვ.ვ. მაიაკოვსკის სახელობის სახლ-მუზეუმს რუსი კოლეგები ესტუმრნენ. მოსკოვის ვ.ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ალექსეი ლობოვმა, იშვიათი წიგნების ფონდისა და სამუზეუმო ექსპონატების მცველმა დმიტრი კარპოვმა, საგამოფენო განყოფილების უფროსმა იულია სადოვნიკოვამ და რეჟისორმა ალექსეი შეინმა 18 ივნისს შეაბიჯეს იმ სახლში, სადაც დიდი პოეტი დაიბადა. სწორედ ალექსეი შეინი და ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ გოგსაძე იყვნენ დღევანდელი შეხვედრის ინიციატორები. ალექსეი შეინი შარშანაც სტუმრობდა ბაღდათს ვლადიმერ მაიაკოვსკიზე ფილმის გადაღებისთვის მასალების მოსაპოვებლად, ამ ფილმის პრემიერა 12 ოქტომბერს გაიმართება მოსკოვში. რეჟისორი მასპინძლებს ფილმის ბაღდათში ჩვენებასაც დაპირდა.

სახლ-მუზეუმისა დათვალიერების შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა სამომავლო ურთიერთობისა და თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

სალოტბარო სკოლის გალა-ჰარიზები

2 ივნისს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების III ეროვნული კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება და გალა კონცერტი გაიმართა. ბაღდათის სალოტბარო სკოლის ვაჟთა გუნდი, საგუნდო ფესტივალის ოქროს პრიზიორი გახდა ნომინაციაში „ხალხური სიმღერა“ (B-c-2 კატეგორია) და ვერცხლის პრიზიორი ნომინაციაში „საეკლესიო გალობა“ (C-c-2 კატეგორია). ხოლო სკოლის პედაგოგებმა ლევან გერსამიამ და ზურაბ გოგოლაძემ საუკეთესო რეგენტის წოდება მიიღეს. ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების კონკურსი საქართველოს საგუნდო საზოგადოების ორგანიზებით ორ ტურად ჩატარდა და მასში

მონაწილეობა მთელი საქართველოდან 200-ზე მეტმა საგუნდო კოლექტივმა მიიღო. შეგახსენებთ, რომ ბაღდათის სალოტბარო სკოლა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის თანადგომითა და მხარდაჭერით შარშან, 2016 წელს გაიხსნა.

26 მაისი

ანა-რეკლი

1 ივნისი

გამარჯობა ახალგაზრდავ! – იუმორითა და ღიმილით ესალმებოდნენ ერთმანეთს მრავლისმნახველი და ცხოვრების ავანჩავანის მცოდნე ბაღდათელები. საინიციატივო ჯგუფის (ჯუმბერ მშვილდაძე, ომარი ჩიქვინიძე და გურამი ჩხეიძე) მიერ შექმნილი „ბაღდათელ უხუცესთა დარბაზი“ პირველად 26 მაისს შეიკრიბა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. გამგეობის წინამდებარე სკვერში შეხვედრის, ერთმანეთის მოკითხვისა და განვლილი ცხოვრების გახსენების შემდეგ უხუცესებმა გადაინაცვლეს კულტურის ცენტრში, სადაც დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ, ადგილობრივი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია Youth 2 Georgia-მ და World vision იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამამ ბაღდათელი ბავშვებისთვის მოაწყეს შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები.

გამგეობის წინამდებარე სკვერში გაიმართა ასფალტსა და მაგიდაზე ხატვა, საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა, ფერსათისა და მეორე ობჩის საკვირაო სკოლების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, სახის მოხატვა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების სამხარეო ჯგუფის საინფორმაციო კუთხის პრეზენტაცია.

ბაღდათის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? რომელშიც გაიმარჯვა გიორგი გეწაძის სახელობის I ობჩის საჯარო სკოლის გუნდმა. გუნდის თითოეულ წევრს დეპუტატის ბიურომ გადასცა სიმბოლური საჩუქრები და ასევე დააჯილდოვა გუნდის ყველაზე ინტელექტუალური მონაწილე – მარიამ ბურჯანაძე. გამარჯვებულ გუნდს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა გადასცა სიმბოლური საჩუქარი, ხოლო ჭორლდ ვისიონ იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის წარმომადგენლები თამაშის ყველა მონაწილეს ტორტით გაუმასპინძლდნენ.

დღის ბოლოს, რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრში, ბაღდათის ახალგაზრდულმა თეატრ-სტუდია „ირიდამ“ წარმოადგინა მიუზიკლი „კონკია“.

მამუკა გორგოძე - საპატიო კაპიტანი და ბაღდათის საპატიო მოქალაქე

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მოთამაშემ, გუნდის კაპიტანმა მამუკა გორგოძემ ახლახან სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, თუმცა „გორგოძილა“ კიდევ სამი წელი აპირებს რაგბობას, ოღონდ საკლუბო დონეზე, საფრანგეთის ტოპ 14-ში, „ტულონის“ კვართით.

მამუკა ახლა საქართველოშია და მშობლიურ ბაღდათშიც ჩამოვიდა. იქნებ ბევრმა არც იცის, რომ იგი ბაღდათელია და 2015 წელს ბაღდათის საპატიო მოქალაქედაც აირჩიეს. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან, არჩილ გოგსაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძესთან და დეპუტატებთან შეხვედრაზე ბაღდათში რაგბის განვითარების პერსპექტივებზეც ისაუბრეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მიუხედავად მოუცლელობისა, მამუკა არ დაგვზარდა და ჩვენს კითხვებსაც უპასუხა.

– ნაკრებიდან წასვლას 2015 წლის მსოფლიო თასის შემდეგ ვაპირებდი, თუმცა მთხოვეს და დავრჩი. მაგრამ მას შემდეგ სულ ამ საკითხზე ვფიქრობდი და საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე. არაერთხელ მითქვამს: მინდა, რომ გულშემატკივარს კარგად დავამახსოვრო თავი და ვგრძნობ, წასვლის დრო მოვიდა.

უკვე 33 წლის ვარ და 2019 წლის მსოფლიო თასის დროს 35-ს ვიქნები გადაცილებული. ვამჩნევ, რომ ასაკში ვარ და წლების მატებასთან ერთად დაღლილობა კი არ დაიკლებს, კიდევ უფრო მოიმატებს.

მირჩევდნენ, რომ მხოლოდ მსოფლიო თასისთვის მოვმზადებულიყავი, მნიშვნელოვან თამაშებზე ჩამოვსულიყავი, მაგრამ ჩემთვის ეს მიუღებელია. კაპიტანი სულ გუნდთან ერთად უნდა იყოს, მის პულსზე უნდა ედოს ხელი, სხვა შემთხვევაში კაპიტანი ვერ იქნები.

ჯანი, სურვილი და ჟინი არ მომკლებია, მაგრამ ასეთ დატვირთვებს ვეღარ ვუძლებ. რომ ყოფილიყო შესაძლებელი, არჩევანს ნაკრებზე შევაჩერებდი, მაგრამ უთამაშებელი ნაკრებს ვერაფერში გამოვადგები.

ნაკრებს დავაკლდები, მაგრამ შეუცვლელი არავინაა, მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებს მესამე ხაზში მართლა ძალიან მაგარი ბიჭები ჰყავს და კარგი შევსება მოდის. გადავწყვიტე, წასვლის შესახებ მსოფლიო თასამდე 2 წლით ადრე გამეცხადებინა, რადგან გუნდი მზადებას იწყებს და მწვრთნელებს ხელი არ შეეშალოთ. ყველაზე მეტად მე მწყდება გული, თუმცა ჯობია დროულად წახვიდე და გულშემატკივარმაც კარგად გაგიხსენოს“ – თქვა მამუკა გორგოძემ.

გორგოძემ „ბორჯღალოსნების“ კვართი პირველად 2003 წლის 22 თებერვალს, ესპანეთის წინააღმდეგ მოირგო და მას შემდეგ გუნდისთვის შეუცვლელ ლიდერად იქცა.

მონაწილეობა მიიღო სამ მსოფლიო თასზე – 2007, 2011 და 2015 წლებში – და 4-ჯერ გახდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე: 2011 წელს ინგლისთან და რუმინეთთან, 2015 წელს ტონგასთან და ახალ ზელანდიასთან. 2015 წლის მსოფლიო თასზე ის „ბორჯღალოსნების“ კაპიტანი იყო და საქართველომ ისტორიულ შედეგს მიაღწია – ორი თამაშის მოგებით (ტონგასთან და ნამიბიასთან) ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და 2019 წლის მსოფლიო თასის საგზური ნაადრევად მოიპოვა.

...ნაკრებში პირველად 2003 წელს, ესპანეთის წინააღმდეგ ვითამაშე. შეცვლაზე 10 წუთით შევედი. ამ პერიოდში ბურთიც მივიღე და რაღაცები კარგად გამომივიდა. მას შემდეგ „ბორჯღალოსნების“ კვართით არაერთი დასამახსოვრებელი თამაში ჩავატარე, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშები 2015 წლის მსოფლიო თასზე გვქონდა.

მოგება ისე არასდროს გამხარებია, როგორც ტონგასთან ბოლო მსოფლიო თასისას. კარიერის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი თამაში მოგვიგია, მაგრამ ეს მაინც გამორჩეული იყო. ასევე ძალიან მაგარი იყო ახალ ზელანდიასთან შეხვედრა. მსოფლიოს ჩემპიონი, ჩემთვის ყველაზე საყვარელი სტადიონი „მილენიუმი“ და მე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს.

ძალიან მაგრად მახსოვს და არასდროს დამავიწყდება საქართველოში, გადაჭედილ „დინამოზე“ ჩატარებული თამაშები, განსაკუთრებით კი, წელს რუსეთის წინააღმდეგ გამართული შეხვედრა და განათებული ტრიბუნები. საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში, „ნოუ კამპზე“ 93 ათასი მაყურებელი იყო, მაგრამ იქაც არ იყო ისეთი ატმოსფერო, როგორც ჩვენთან 54-ათასიან „დინამოზე“.

გორგოძემ რაგბის თამაში 2000 წელს, 16 წლის ასაკში, „ლელოში“ დაიწყო და 2004 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. 2005 წლიდან 2014 წლამდე ის ტოპ 14-ის „მონპელიეს“ ღირსებას იცავდა და სწორედ იქ თამაშისას გაითქვა სახელი. გავიდა ტოპ 14-ის ფინალში, 2010/11 წლებში დაასახელეს ტოპ 14-ის საუკეთესო ლეგიონერად, 2012/13 წლების სეზონში აღიარეს ტოპ 14-ისა და „ჰაინეკენის თასის“ (ამჟამად ჩემპიონთა თასი) იანვრის თვის საუკეთესო მოთამაშედ.

„ბორჯღალოსნების“ კვართით 71 ტესტი აქვს ჩატარებული, აქედან 13 კაპიტნის რანგში და საქართველოს ნაკრების საუკეთესო მელელოვეა (26 ლელო). ის 6-ჯერ გახდა საქართველოს საუკეთესო მორაგბე (2008, 2009, 2011, 2013, 2015 და 2016 წლები), 2011 წელს კი, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი გახდა.

ზემოთნახსენები ტიტულების გარდა, მამუკა გორგოძე გულშემატკივრების გამოკითხვისას არაერთხელ დასახელდა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად. „ბორჯღალოსნების“ კაპიტანი ქომაგის სიყვარულს ყოველთვის გრძნობდა და მათ მიმართ თავადაც მუდამ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა:

... ბევრი დიდი სარაგბო ქვეყანა ვერ დაიკვეხნის ისეთი გულშემატკივრით, როგორიც ჩვენ გვყავს. განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიგვიღწევია, მაგრამ ქომაგები მუდამ გვამხნევებდნენ და რაგბი ხელში ჰყავთ აყვანილი.

პირველივე დღიდან მახსოვს მათი თანადგომა. საქართველოს ნაკრები და მისი ქომაგები, ფაქტობრივად, ერთად ვიზრდებოდით. როგორც ჩვენ მივიწევდით წინ, ისე მატულობდა ტრიბუნაზე გულშემატკივარი და რაც მთავარია, იზრდებოდა მათი სარაგბო განათლება. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გულშემატკივრები ნამდვილი პროფესიონალები არიან და მინდა მათ უღრმესი მადლობა გადავუხადო, განსაკუთრებით კი ჩემ მშობლიურ ბაღდათს და ბაღდათელებს იმ სიყვარულისა და თანადგომისთვის, რასაც თქვენგან ყოველთვის ვგრძნობდი. ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო ბაღდათის საპატიო მოქალაქე. შეხვედრაზეც ვთქვი და აქაც გავიმეორებ, რომ რაც შემეძლება, არაფერს დავიშურებ ბაღდათში რაგბისა და ზოგადად სპორტის განვითარებისთვის.

3 ვერცხლი და 3 ბრინჯაო

დასრულდა ლევან ებანოიძისა და ავთანდილ გურგენიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ბაღდათის სპორტული სკოლის საჭიდაო დარბაზში ორი დღის მანძილზე საქართველოს რეგიონების, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ქალაქ როსტოვის 262 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს გამარჯვებას. 2002-04 და 2005-07 წლებში დაბადებული მოჭიდავეებისათვის მედლები 10-10 წონით კატეგორიებში გათამაშდა. 7 ოქროს მედალი მოიპოვა გორის გუნდმა. სტუმართაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა აზერბაიჯანმა (4 ოქრო). ოქრო ვერა, მაგრამ სამი ვერცხლი და სამი ბრინჯაო კი მოიპოვა ბაღდათის გუნდმა – ლუკა მარშანია, ლუკა რურუა, ნოდარ კახნიაშვილი (მე-2 ადგილი); გიორგი ბურჯანაძე, მერაბ თოლორდავა, კოკა სიორდია (მე-3 ადგილი).

გოგონათა შორის 52 და 58 კგ. წონით კატეგორიებში გამარჯვება და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს ქიათურელმა თინათინ სამხარაძემ და თბილისელმა თეონა ჯანდაგაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებს საკამათო ეპიზოდების ნახვა სპეციალურ მონიტორებზე შეეძლოთ. ტურნირის მსვლელობას თვალს ადევნებდნენ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მესვეურები და ვეტერანი მოჭიდავეები. გამარჯვებულებს თასები და სიგელები საკრებულოს თავმჯდომარემ გრიგოლ მაჩიტაძემაც გადასცა.

მოყვარულთა რეგიონულ ეტაპზე „წითელხევი“ ითამაშებს

სამოყვარულო ლიგის მუნიციპალურ ეტაპზე ბაღდათიდან ცხრა გუნდი ჩაერთო გათამაშებაში. ამათგან ერთი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ როდინოულის გუნდი, რომელმაც ტურნირის პირველ, მეოთხედფინალურ შეხვედრაში პენალტების სერიით აჯობა ს. როხის გუნდს (ძირითადი დრო 1:1). ქ. ბაღდათის გუნდმა 2:1 დაამარცხა დიდველა, დიმმა 3:0 მოუგო ობჩას, ხოლო წითელხევმა 3:1 ძლია ზედა დიმის გუნდს. შარშანდელი გამარჯვებული როკითი ისვენებდა და ის ნახევარფინალში გასასვლელად ზესტაფონელებს დაუპირისპირდნენ. როდინოულის გუნდმა ამჯერადაც პენალტების სერიით გაიმარჯვა.

ნახევარფინალური მატჩები კი ისე დრამატულად წარიმართა, რომ ორივე შეხვედრა დროზე ადრე შეწყდა. 31 მაისს ბაღდათის ცენტრალურ სტადიონზე ჯერ ქ. ბაღდათისა და ზესტაფონის სოფელ როდინოულის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მეორე ტაიმის საწყისი წუთებისთვის ზესტაფონელები 2:1-ს იგებდნენ, როცა მსაჯის ერთ-ერთი გადაწყვეტილება ბაღდათელმა ფეხბურთელმა გააპროტესტა, რასაც წითელი ბარათი და მოედანზე არეულობა მოჰყვა. ტურნირის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ბაღდათის გუნდი მოიხსნა შეჯიბრებიდან და რეგიონულ ეტაპზე ზესტაფონს (ზესტაფონს მუნიციპალური ეტაპი არ ჩაუტარებია) როდინოულის გუნდი წარადგენს. მსგავსი ვითარება შეიქმნა მეორე ნახევარფინალშიც, წითელხევი – დიმი. ეს შეხვედრა ბაღდათის გუნდის გამოვარდნის შემდეგ ფინალის ტოლფასი იყო და, შესაბამისად, დაძაბულობაც არ აკლდა. პირველი ტაიმის ბოლოს ამჯერად დიმელი ფეხბურთელები არ დაეთანხმნენ მსაჯის ვერდიქტს, რასაც სიტყვიერი შეურაცხჰყოფა და მატჩის შეწყვეტა მოჰყვა. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, დაინიშნა გადათამაშება და მესამე დღეს გუნდებმა (დიმმა 10 ფეხბურთელით) შეხვედრა შეწყვეტილი დროდან, 29-ე წუთიდან განაახლეს. თანაბარ თამაშში წითელხევმა ერთი გოლის გატანა შეძლო და მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებულიც სოფელ წითელხევის გუნდი გახდა. რეგიონულ ტურნირზე, რომელიც ივლისში დაიწყება, ბაღდათის მუნიციპალიტეტს წითელხევი წარადგენს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯოტორეიშვილი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე,
ანჟელინა ჭავჭანიძე,
ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“